



სახელი, გვარი, ტელეფონი

სკოლა

მათემატიკის მასწავლებელი

1) კოტემ სულ 20 ნაბიჯი უნდა გადადგას. იგი ყოველ ერთ წამში სამ ნაბიჯს დგამს.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

ა) სულ რამდენი ნაბიჯი უნდა გადადგას კოტემ?
1) 3 ნაბიჯი 2) 17 ნაბიჯი **3) 20 ნაბიჯი**

ბ) რამდენ ნაბიჯს დგამს კოტე ყოველ ერთ წამში?
1) 3 ნაბიჯს 2) 17 ნაბიჯს 3) 20 ნაბიჯს

გ) რამდენი ნაბიჯი დარჩება კოტეს გადასადგმელი 4 წამის შემდეგ?
1) 16 ნაბიჯი 2) 12 ნაბიჯი **3) 8 ნაბიჯი**

2) ქურთუკი 360 ლარი ღირს. შარვალი და პერანგი ერთად უფრო იაფია, ვიდრე ქურთუკი.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

ა) რა ღირს ქურთუკი?
1) 360 ლარი 2) 630 ლარი 3) 330 ლარი

ბ) რა უფრო ძვირია ქურთუკი, თუ შარვალი და პერანგი ერთად?
1) ქურთუკი 2) შარვალი და პერანგი 3) თანაბრად

გ) თუ შარვალი 248 ლარი ღირს, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რამდენი ლარი არ შეიძლება ღირდეს პერანგი?
1) 112 ლარი 2) 110 ლარი 3) 12 ლარი

3) თავდაპირველად ავტობუსში 28 მგზავრი იჯდა. სკოლასთან, გაჩერებაზე ავტობუსში ავიდა 7 მგზავრი და რამდენიმე ჩავიდა.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:




ა) თავდაპირველად რამდენი მგზავრი იჯდა ავტობუსში?
1) 35 მგზავრი **2) 28 მგზავრი** 3) 21 მგზავრი

ბ) სკოლასთან, გაჩერებაზე რამდენი მგზავრი ავიდა ავტობუსში?
1) 7 მგზავრი 2) 28 მგზავრი 3) 35 მგზავრი

გ) სკოლასთან, გაჩერებაზე რამდენი მგზავრი ჩავიდა ავტობუსიდან, თუ ამ გაჩერების შემდეგ ავტობუსში 33 მგზავრი აღმოჩნდა?
1) 2 მგზავრი 2) 5 მგზავრი 3) 7 მგზავრი




4) ნატოს მხოლოდ 3 ცალი 20-თეთრიანი მონეტა ჰქონდა, რომლებიც 10-თეთრიან მონეტებად დაასურდავა. შემდეგ კი 2 ცალი 10-თეთრიანი მონეტა, 5-თეთრიან მონეტებად დაასურდავა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

-  ა) რამდენთეთრიანი მონეტები დაასურდავა ნატომ პირველად?
1) 10-თეთრიანი 2) 20-თეთრიანი 3) 50-თეთრიანი
-  ბ) რამდენი მონეტა გაუხდა ნატოს ფულის პირველად დასურდავების შემდეგ?
1) ხუთი 2) ექვსი 3) შვიდი
-  გ) რამდენი მონეტა გაუხდა ნატოს ფულის მეორედ დასურდავების შემდეგ?
1) თორმეტი 2) ათი 3) რვა




5) ნესვი 6 კილოგრამს იწონის, საზამთრო კი ნესვზე – 5-ჯერ მეტს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

-  ა) რას იწონის ნესვი?
1) 5 კილოგრამს 2) 6 კილოგრამს 3) 11 კილოგრამს
-  ბ) რას იწონის საზამთრო?
1) 5 კილოგრამს 2) 11 კილოგრამს 3) 30 კილოგრამს
-  გ) რამდენი კილოგრამით მეტს იწონის საზამთრო ნესვზე?
1) 30 კილოგრამით 2) 25 კილოგრამით 3) 24 კილოგრამით


6) ბავშვები ექსკურსიაზე 4 მიკროავტობუსით და 1 ავტომანქანით წავიდნენ. თითოეულ მიკროავტობუსში 9 ბავშვი ჩაჯდა, ხოლო ავტომანქანაში – 4.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:


-  ა) რამდენი ბავშვი ჩაჯდა ავტომანქანაში?
1) 9 ბავშვი 2) 4 ბავშვი 3) 1 ბავშვი
-  ბ) სულ რამდენი ბავშვი წავიდა ექსკურსიაზე?
1) 40 ბავშვი 2) 36 ბავშვი 3) 32 ბავშვი
-  გ) რამდენი მიკროავტობუსი იქნებოდა საჭირო, თითოეულში 8 ბავშვი რომ ჩამჯდარიყო?
1) ხუთი 2) ოთხი 3) სამი

7) ნათიას დღის განმავლობაში სულ 20 ამოცანა ჰქონდა ამოსახსნელი. მან დილით 8 ამოცანა ამოხსნა, შუადღისას კი – კიდევ 1 ამოცანა ამოხსნა.


პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) დღის განმავლობაში სულ რამდენი ამოცანა ჰქონდა ნათიას ამოსახსნელი?


- 1) 8 ამოცანა 2) 12 ამოცანა **3) 20 ამოცანა**

 ბ) რამდენი ამოცანა ამოხსნა ნათიამ დილით?

- 1) 8 ამოცანა** 2) 5 ამოცანა 3) 1 ამოცანა

 გ) რამდენი ამოცანა დარჩა ნათიას ამოსახსნელი საღამოსთვის?


- 1) 13 ამოცანა 2) 12 ამოცანა **3) 11 ამოცანა**

 დ) საღამოს კიდევ რამდენი ამოცანა უნდა ამოხსნას ნათიამ, რომ მას ამოსახსნელი ამოცანების რაოდენობის ნახევარი ჰქონდეს ამოხსნილი?


- 1) 1 ამოცანა** 2) 2 ამოცანა 3) 10 ამოცანა

8) ცხენი ოთხ დღეში 12 კილოგრამ თივას ჭამს, ძროხა კი – ორ დღეში 6 კილოგრამ თივას.


პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) რამდენ კილოგრამ თივას ჭამს ცხენი ოთხ დღეში?


- 1) 12 კილოგრამს** 2) 6 კილოგრამს 3) 2 კილოგრამს

 ბ) რამდენ კილოგრამ თივას ჭამს ძროხა ორ დღეში?


- 1) 12 კილოგრამს **2) 6 კილოგრამს** 3) 2 კილოგრამს

 გ) რამდენ კილოგრამ თივას შეჭამს ძროხა ოთხ დღეში?


- 1) 12 კილოგრამს** 2) 6 კილოგრამს 3) 2 კილოგრამს

 დ) 1 კვირაში რომელი უფრო მეტ თივას შეჭამს, ცხენი თუ ძროხა?

- 1) ცხენი 2) ძროხა **3) თანაბრად**

 9) კინოთეატრში 8 რიგია. თითოეულ რიგში 9 ადგილია. მაყურებლებით ბოლომდე შეივსო 5 რიგი, დანარჩენი რიგები კი ცარიელი დარჩა. რამდენი ადგილი დარჩა ცარიელი?

- 1) 3 ადგილი **2) 27 ადგილი** 3) 45 ადგილი

 10) ბებიამ სუპერმარკეტში პროდუქტი შეიძინა. მან მოლარეს ასლარიანი მიაწოდა. ქვემოთ მოცემული თანხებიდან რამდენს ვერ დაუბრუნებდა მოლარე ბებიას, თუ მოლარეს მხოლოდ ათლარიანი კუპიურები ჰქონდა?

- 1) 90 ლარს **2) 75 ლარს** 3) 10 ლარს